თვალსაჩინო მასალის მნიშვნელობა წერით მეტყველებაში

თეონა შარიქაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სხვადასხვა საშუალებით მიწოდებული ინფორმაციის აღსაქმელად ადამიანის მხრიდან ხდება შესაბამისი პერცეპტული არხების გამოყენება-ვიზუალურის, ვერბალურის, ტაქტილურის.

მხედველობის შეგრძნებათა როლი ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულად დიდია. ადამიანი სინამდვილესთან პირველ რიგში მხედველობით ურთიერთობს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მეხსიერების 80%-ს შეადგენს ის ინფორმაცია, რომელიც თვალით არის დაფიქსირებული. სწორედ ამიტომაა ინფორმაციის ვიზუალურად მიწოდება მნიშვნელოვანი ბავშვებისათვის.

ინფორმაციის დასამუშავებლად ზოგიერთი ბავშვი კიდევ უფრო მეტადაა დამოკიდებული ინფორმაციის ვიზუალურ ფორმაზე- თვალსაჩინო მასალაზე.

საკვანძო სიტყვები: ვიზუალური ინფორმაცია, თვალსაჩინო მასალა, მეტყველება, მხედველობის შეგრძნება.

შესავალი

მეტყველება: მეტყველება ინდივიდის მოქმედებაა ენის გამოყენებით. იგი გარკვეულ ფარგლებში იცვლება ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა, მისი შინაგანი მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით. მეტყველება არის ინდივიდის მიერ სხვასთან ურთიერთობისას ენის გამოყენების პროცესი. ის არის ენა მოქმედებაში.

მეტყველების ფუნქციებია: კომუნიკაცია, ექსპრესია, სიგნიფიკაცია, აზრდება.

კომუნიკაცია- მეტყველება ადამიანთა ურთიერთგაგებინების საშუალებაა.

ექსპრესია- იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მეტყვლების საშუალებით კომუნიკაცია. მას ექსპრესიაც ანუ განცდათა გამოხატვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

სიგნიფიკაცია- სიტყვას იმიტომ შეუძლია შეგნებული კომუნიკაციის როლის შესრულება, რომ მას აღმნიშვნელობითი ანუ სიგნიფიკაციური ფუნქცია გააჩნია.

აზრდება- სიტყვად გადაქცეული ბგერათა კომპლექსისთვის მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს.

მეტყველების ჩასახვა და განვითარება

ბავშვის ქცევაზე მეტყველების ზემოქმედების ყველაზე უფრო ადრინდელ ფორმას შემდეგი წარმოადგენს: ჩვილობის ასაკში ტირილის დროს საკმარისია ბავშვს რაიმე სიტყვით მიმართოთ, რომ იგი დროებით მაინც დაწყნარდეს. აქ ბავშვის სოციალური ინსტინქტის ერთ-ერთ ფორმასთან გვაქვს საქმე: მას ადამიანის ხმა აწყნარებს და არა ის შინაარსი, რომელიც ხმის საშულებით გამოითქმის.

პირველი წლის ბოლო თვეებში ბავშვი უკვე თვითონ იწყებს ზოგიერთი ბგერის კომპლექსის ხმარებას, რათა ამით თავისი სურვილი და მოთხოვნილება გასაგები გახადოს ახლობლებისთვის. ენის ნამდვილი გაგების პროცესი განსაკუთრებით ამის შემდეგ იწყებს განვითარებას.

განვითარების პირველ წლებში განცდა და სიტყვა უკავშირდება ერთმანეთს და ორივე ერთი მთლიანი ფენომენის შემავსებელ ნაწილებს შეადგენენ. განცდა ჩამოყალიბებულ ფენომენად ვერ ჩაითვლება, სანამ მას სათანადო მეტყველებით მოტორული პროცესები თან არ დაერთვის. განვითარების ამ პერიოდისთვის

ინტელექტუალურ განცდებზე საუბარი ნაადრევია. აქ მხოლოდ აღქმის განვითარების ერთ-ერთ წინა საფეხურთან გვაქვს საქმე. შტერნის თანახმად აქ ჩვენ „არაცნობიერ, შემთხვევით მეტყველებასთან“ გვაქვს საქმე.

ორი წლიდან ბავშვი ხვდება, რომ ბგერების კომპლექსს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ისინი რაღაცას გამოხატავენ. აღსანიშნავია, რომ მეტყველება მხოლოდ ამიერიდან იქცევა ნამდვილი სოციალური კონტაქტის საშუალებად.

ძირითადი ნაწილი

მეტყველების სახეები: ადამიანის მეტყველება ორი სახისაა- ზეპირი და წერითი. ზეპირი მეტყველება მეტყველების ბუნებრივი ფორმაა. მას ადგილი აქვს ადამიანთა შორის უშუალო ენობრივი ურთიერთობის დროს. ზეპირ მეტყველებას თან ახლავს ჟესტ-მიმიკა, რომელიც მეტყველებას ერთგვარ ექსპრესიას აძლევს და ამით მეტყველებით განცდის გამოსახვისა და ზემოქმედების უნარს აძლიერებს.

წერითი მეტყველება მოკლებულია მოსაუბრესთან უშუალო ურთიერთობას. ის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც პირველ რიგში იმით არის განპირობებული, რომ წერითი მეტყველება მოკლებულია ყველა იმ დამხმარე საშუალებას (მიმიკა, ჟესტები, ხმის ინტონაცია და ა.შ.), რაც დიდ როლს თამაშობს ზეპირი მეტყველების დროს. მეტყველება წერით ფორმაში მოითხოვს აზრის დასრულებულ, ჩამოყალიბებულ დალაგებას.

კაცობრიობის კულტურის მიღწევების უდიდესი ნაწილი წერითი მეტყველების გზით არის მისაწვდომი საზოგადოების ყველა წევრისათვის.

თვალსაჩინო მასალის მნიშვნელობა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ თვალსაჩინო“ განმარტებულია როგორც ადვილად დასანახი, ადვილად შესამჩნევი, გამოსაჩენი. (1; 240)

ხშირად ვერბალურ ინფორმაციაზე დიდი მნიშვნელობა ვიზუალურ ინფორმაციას ენიჭება. 1990 წელს მეცნიერმა ი. ა. სოროკინმა გამოიყენა ტერმინი „ კრეოლიზებული ტექსტები“ , რაც აღნიშნავდა ორი არაჰომოგენური ნაწილისაგან (ვერბალური და იკონური გამომსახველობითი საშუალებებისგან) შემდგარ ტექსტს.

იკონური ნიშანი არის გადატანითი ნიშანი, რომელიც ახდენს რეპრეზენტაციას და უკავშირდება რეალურ სამყაროში არსებულ ნივთს.

ნიშანი მხოლოდ მაშინ არის ნიშანი, როდესაც გამოხატავს იდეებს.

თვალსაჩინო მასალა, როგორც ნიშანი წერით მეტყველებაში თვალსაჩინო ხატებით აზროვნებას წარმოადგენს. ამიტომ აზროვნების ამ ფორმას ხატოვან ან საგნობრივ აზროვნებას უწოდებენ.

სწავლაში თვალსაჩინოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი სწავლის ერთ-ერთ დიდაქტიკურ პრინციპს წარმოადგენს. ეს პრინციპი გულისხმობს მოსწავლეების მიერ საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებას გრძნობადი ორგანოების მონაწილეობით.

სწავლა შეუძლებელია თუ ინფორმაცია მოსწავლისათვის აღქმადი არ არის. სწავლისადმი ბარიერის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი ინფორმაცია ადვილად აღქმადი იყოს ყველა მოსწავლისათვის და შეძლებისდაგვარად ყველა მოდალობით (მხედველობა, სმენა, შეხება). ამიტომ სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ვერბალური რესურსი (სიტყვიერი ინსტრუქცია, განმარტება), ასევე ვიზუალური (ნახატი, ფოტო) და ტაქტილური.

ახალი სკოლის წინამორბედად მიჩნეული იან ამოს კომენსკი (1592-1671) , ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) , იოჰან ჰაინრიხ პესტალოტი (1746-1827) მეცნიერულად ასაბუთებენ თვალსაჩინო მასალის ეფექტს სხვადასხვა საგნის სწავლებაში.

კომენსკი მოითხოვდა, რომ სიტყვის სწავლება არ დაცილებოდა საგნის გაცნობას „ ისე ვისწავლოთ ენა, რომ ჯერ გამოსახატავი საგანი ვაჩვენოთ, შემდეგ კი მისი გამომხატველი სიტყვა“. ი. ა. კომენსკის აზრით რამდენადაც მეტი შეგრძნების ორგანო მიიღებს მონაწილეობას

საგნისა თუ მოვლენის აღქმაში, იმდენად უფრო მკვეთრად აღიქვამს ადამიანი ობიექტს.

ი. პესტალოცი ამბობდა: ,, თვასაჩინოება ვცანი ყოველგვარი შემეცენების აუცილებელ საფუძვლად"

ჟან-ჟაკ რუსო თვალსაჩინოებას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამბობდა : „ბავშვი ითვისებს არა იდეებს, არამედ მხოლოდ სახეებს".

დ. უზნაძის თანახმად თვალსაჩინო გრძნობადი შინაარსის მოცემულობა პირველი პირობაა, რომლის გარეშეც აზროვნებაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა.

რამდენადაც დიდი გრძნობადი შთაბეჭდილება შეიქმნება საგანზე, მით უფრო სწრაფად და მტკიცედ აღიქვამს სუბიექტი აღსაქმელს.

განსაკუთრებით დიდია თვალსაჩინო სწავლების ეფექტი დაწყებით კლასებში, სადაც გრძნობადი შთაბეჭდილების როლი განუზომელია. რაც უფრო ძლიერია და მრავალმხრივია შთაბეჭდილება, მით უფრო ძლიერია შესასწავლ საგანზე თუ მოვლენაზე მიღებული წარმოდგენა.

ი. გოგებაშვილი, რომელმაც თავისი სახელმძღვანელო ააგო თვალსაჩინოების პრინციპზე, თვალსაჩინო სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მეტყველების განვითარების დიდ საშუალებად მიაჩნდა. ის წერდა: ,, უჩვენე ყმაწვილს ის საგანი, რაზედაც ელაპარაკებით თუ გსურთ, რომ იმან ჭეშმარიტი წარმოდგენა გამოხატოს გონებაში"

ი. გოგებაშვილს, ი. კომენსკის, დ. უნზაძეს შეცნების საწყის საფეხურად გრძნობადი შთაბეჭდილება მიაჩნდათ და აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვალსაჩინოებას.

თვალსაჩინოების გაგების თვალსაზრისით შეიძლება გავარჩიოთ ორი განსხვავებული შეხედულება: ერთნი თვალსაჩინოებად გულისხმობენ ისეთ სწავლებას, რომელიც დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ მხედველობით შეგრძნებებზე - ე.წ. ვიზუალური აღქმა (ვიწრო გაგებით). მეორენი თვალსაჩინოების პრინციპს არ შემოფარგლავენ მხოლოდ „თვალით" და ამ პრინციპად ესმით ისეთი სწავლება, რომელიც დამყარებულია გრძნობად აღქმაზე (ფართო გაგებით).

დასკვნა

დღეისათვის თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოვდება ტექნიკისა და მეცნიერების არნახული განვითარების პირობებში, როცა ვერბალური ცოდნა უფრო მეტად უნდა ემყარებოდეს რეალურ სინამდვილეს.

თვალსაჩინო მასალით გამდიდრებული წიგნები ბავშვს ეხმარება სამყაროს აღქმაში, სიტყვათა მარაგის შევსებაში. ილუსტრაცია ყოველთვის ამდიდრებს წაკითხულის შთაბეჭდილებას, ის აფართოვებს ბავშვის აზროვნების არეალს.

მხატვრული ნაწარმოების სათანადო ილუსტრაციები ამაღლებს მკითხველის ინტერესს.

გამოყენებული ლიტერატურა

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თბილისი 1986
2 დ. უზნაძე ბავშვის ფსიქოლოგია თბილისი 2003
3 დ. უზნაძე ზოგადი ფსიქოლოგია თბილისი 1999
4 ვ. რამიშვილი ქართული ენის სწავლების საფუძვლები თბილისი 1987
5 დ. ლორთქიფანიძე დიდაქტიკა თბილისი 1983
6 Сорокин Ю. А. Креолизованные тексты и их коммуникативная функция. Москва 1990

Importance of Visual Aids in Written Communication

Teona Shariqadze,
GTU, Doctoral Student

Summary

In order to perceive the information received from various sources, a person uses appropriate perceptive channels – visual, verbal and tactile.

The role of visual senses in person's mental life is significant. A person uses visual communication in reality. Scientists have proved that 80% of information kept in memory is seen. That is why it is important to present information to children with visual aids.

In order to process information, some children are more dependent on visual form - visual aids.

Key words: Visual information, visual aids, speech, visual sense.